**ხელშეკრულება**

**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №04**

**CPV: 72415000 - მსოფლიო ქსელის (www) გვერდის ჰოსტინგი**

**თბილისი** **30 იანვარი, 2021 წელი**

ერთის მხრივ - **სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი** (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის **ზურაბ გეწაძის** სახით და **შპს „პროსერვისი"** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის **რევაზ ნატროშვილის** სახით, სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის" მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის კანონმდებლობისა და გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები**

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2."ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5."მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6."მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. მიმწოდებლის კუთვნილ ვებ-სერვერზე 1000 მბ ვირტუალური ჰოსტინგის გამოყოფა. CPV: 72415000 - მსოფლიო ქსელის (www) გვერდის ჰოსტინგი.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ყოველთვიური ღირებულებაა **10** (ათი) **ლარი**, ხოლო საერთო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგენს **120** (ასოცი) **ლარს** (ტარიფები და სხვა დეტალები - დანართში N1)

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

**4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები**

4.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.

**5. მომსახურების გაწევის ვადა**

5.1. მიმწოდებელი მომსახურების ფაქტიურ გაწევას (გააქტიურება) აწარმოებს 2021 წლის 01 იანვრიდან და დაასრულებს 2021 წლის 31 დეკემბერს.

**6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია**

6,1,1 წინასწარ, ერთი თვით ადრე, წერილობით შეატყობინოს კომპანიას და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6,1,2 მოსთხოვოს კომპანიას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

6,1,3 გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

**6.2. შემსყიდველი ვალდებულია**

6,2,1 სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „მომსახურების" საფასური, 4.1. პუნქტის მიხედვით;

6,2,2 გამოიყენოს „მომსახურება" საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

6,2,3 თავად უზრუნველყოს მისი ვებსაიტის პროგრამული დაცვა;

6,2.4. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

**6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია**

6,3,1 ქსელის და სერვერების სრულყოფასა და განვითარებასთან დაკავშირებით (ახალი მაგისტრალების ჩართვა, ტექნიკური საშუალებების განახლება და/ან მოდიფიცირება, ქსელის კონფიგურაციის შეცვლა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვა) მოახდინოს სერვერის დროებითი გათიშვა აბონენტთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, არაუმეტეს 4 (ოთხი) საათისა, 1 (ერთი) კალენდარული თვის განმავლობაში;

6.3.2 მოსთხოვოს აბონენტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

6.3.3. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

**6.4.მიმწოდებელი ვალდებულია:**

6,4,1 უზრუნველყოს კომპანიის კუთვნილ ვებ-სერვერზე აბონენტისათვის სივრცის გამოყოფა დანართში N1 განსაზღვრული პარამეტრებით;

6,4,2, 6,3.1 პუნქტის მიხედვით წინასწარ ცნობილი და დაგეგმილი გათიშვის შესახებ აბონენტს აცნობოს მინიმუმ 12 საათით ადრე;

6,4,3 კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

6,4,4, არ გაამჟღავნოს აბონენტის პერსონალური ინფორმაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

## 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება და მიღება

7.1.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს და მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ „მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“- ს მთავარი ადმინისტრატორი მაია ოდიშარია.

7.2..ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

7.3.ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2.იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5.მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

**9.6.**ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა

10.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2.თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3.მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრამდე.

## 13. საერთო პირობები

13.1. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი აბონენტის მიერ ქსელში გატარებულ ინფორმაციაზე ან/და საიტზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსზე; „მომსახურების“ ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია აბონენტის ლოკალური ქსელის ან/და ინტერნეტ პროვაიდერისგან მიღებული სერვისის გაუმართაობით; ვირუსული პრობლემებით ან/და თუ აბონენტის სუბიექტური მოლოდინი და მოთხოვნა აღემატება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურების ხარისხსა და მახასიათებლებს.

13.2. შემსყიდველი ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება კომპანიის საიტზე http://proservice.ge გამოქვეყნებულ სერვისით სარგებლობის წესებს და ტარიფებს;

13.3. შემსყიდველი თანხმობას აცხადებს მის მიერ მითითებული პერსონალური მონაცემები შეყვანილ იქნას კომპანიის მონაცემთა ბაზაში;

13,4. ამ ხელშეკრულებით შემსყიდველი ყიდულობს მომსახურებას და მას საკუთრებაში არ გადაეცემა რაიმე ტექნიკური მოწყობილობა ან/და ნივთი;

13,5. ახალი ან გაფართოებული მომსახურების გაწევის შესახებ აბონენტსა და კომპანიას შორის იდება დამატებითი ხელშეკრულება.

13,6. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

| **შემსყიდველი** | **მიმწოდებელი** |
|---|---|
| **სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი** | **შპს „პროსერვისი“** |
| ს/ნ 202270452 | ს/ნ 204929168 |
| თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N164 | თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N42 |
| **ტელ**: 2 35-01-94; | სს „თიბისი ბანკი“, ბ/კ - TBCBGE22; |
| სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22 | ა/ა. № GE28TB0600000303467561 |
| **დირექტორი:** | **დირექტორი:** |
| **ზურაბ გეწაძე** | **რევაზ ნატროშვილი** |

**დანართი N1**

მომსახურების ტარიფები და სხვა დეტალები

| **მომსახურების დასახელება** | **ყოველთვიური გადასახადი (ლარი)** |
|---|---|
| ვებ-სერვერზე 1000 მბ სივრცე, 1 დომენის განთავსების უფლებით; ტრაფიკის, მონაცემთა ბაზების და ელექტრონული ფოსტის შეუზღუდავი რაოდენობა, ყოველთვიური გადასახადი. | 10.00 ლარი |

**"შემსყიდველი":** სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის
კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი
დირექტორი /ზურაბ გეწაძე/

LEPL MICHAEL TUMANISHVILI STATE PROFESSIONAL FILM ACTORS THEATRE

Digitally signed by LEPL MICHAEL TUMANISHVILI STATE PROFESSIONAL FILM ACTORS THEATRE
Date: 2021.01.30 18:10:04 +04'00'

**"მიმწოდებელი":** შპს „პროსერვისი"
დირექტორი /რევაზ ნატროშვილი/